DEMOGRAPHIC APPEARANCES OF A. SMITH AND D. RICARDO ON THE BACKGROUND OF THE DEMOGRAPHIC DEVELOPMENT OF MODERN GEORGIA

ა. სმიტისა და დ. რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებები თანამედროვე საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონზე

Anzor Sakhvadze
Academical Doctor of Economics, Associate Professor
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-8351-970X
(+995 32) 2 66 35 00; a_saxvadze@yahoo.com

Abstract

It is known from the history of demography that before it became an independent field of knowledge, the development of demographic thought took place in different eras within the framework of different sciences and because of its relevance, it always attracted public interest.

Philosophers of ancient times wrote about demographic issues (Anzor Sakhvadze 2003: 3-66), and since the middle ages, the development of demographic thought took place in the works of historians, economists, mathematicians, jurists, clerics, doctors and others. For example, in demographic literature (and not only demographic) it is well known the name of the prominent English economist T. R. of Malthus and merit in demographic research, which devoted special work (T. R. Malthus 2004; and T. R. Malthus 2005:) to the study of population growth issues.

But very little is known about those scientists and their works, who did not devote separate monographic researches to demographic issues, but discussed them with more or less depth and intensity in their main works. Perhaps, that is why it is still not possible to fully present the demographic views that are intertwined in the works of various scientists.

It is clear that the opinions of Adam Smith and David Ricardo, as the greatest thinkers and economists, including the demographic one, did not go unnoticed and had a certain echo and may still have it today, in the views and practical activities of various scientists or political figures. That is why we consider it necessary to analyze them in detail.

Key words: Adam Smith, David Ricardo, T. R. Malthus.

ანზორ სახვაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0000-0002-8351-970X
(+995 32) 266 35 00; a_saxvadze@yahoo.com

აბსტრაქტი

დემოგრაფიის (დემოლოგიის) ისტორიიდან ცნობილია, რომ ცოდნის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებამდე დემოგრაფიული (დემოლოგიური) აზრის განვითარება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეცნიერებათა ფარგლებში მიმდინარეობდა და თავისი აქტუალობის გამო, ყოველთვის იწვევდა საზოგადოების ინტერესს.

დემოგრაფიულ საკითხებზე წერდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები (ანზორ სახვაძე 2003: 3-66), ხოლო შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კი, დემოგრაფიული აზრის განვითარება ხდებოდა ისტორიკოსების, ეკონომისტების, მათემატიკოსების, სამართალმცოდნეების, სასულიერო მოღვაწეთა, ექიმებისა და სხვათა შრომებში. მაგალითად, დემოგრაფიულ ლიტერატურაში (და არა მარტო დემოგრაფიულში) კარგადაა ცნობილი გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის თ. რ. მალთუსის სახელი და დამსახურება დემოგრაფიული საკითხების კვლევაში, რომელმაც სპეციალური ნაშრომი (თ. რ. მალთუსი 2004: და თ. რ. მალთუსი 2005:) მიუძღვნა მოსახლეობის გამრავლების საკითხების შესწავლას.

მაგრამ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი იმ მეცნიერთა და მათი ნაშრომების შესახებ, რომლებმაც დემოგრაფიულ საკითხებს ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევები კი არ მიუძღვნეს, არამედ ისინი, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით განიხილეს თავიანთ ძირითად ნაშრომებში. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება სრულად იმ დემოგრაფიული შეხედულებების წარმოჩენა, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებშია მიმობნეული.

ნათელია, რომ ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს, როგორც უდიდესი მოაზროვნეებისა და ეკონომისტების მოსაზრებებს, მათ შორის დემოგრაფიულსაც, უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეული გამოძახილი ჰქონდა და შეიძლება დღესაც აქვს, სხვადასხვა მეცნიერთა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხედულებებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, მათი დეტალური გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: ა. სმიტი, დ. რიკარდო, თ. რ. მალთუსი.

შესავალი

მე - 18 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე, ცნობილმა შოტლანდიელმა მეცნიერმა, სწავლულმა ეკონომისტმა, ადამ სმიტმა (1723-1790), რომელმაც, - ამართლებდა რა თავის გვარს (Smith - მჭედელი), - და ფაქტობრივად „გამოჭედა“ კიდეც „კლასიკურად“ წოდებული, პოლიტიკური ეკონომიის ახალი ნიმუში, თავისი დემოგრაფიული შეხედულებები გადმოსცა მის

ძირითად ნაშრომში: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ.“

ა. სმიტის მიერ ჩამოყალიბებული „კლასიკური პოლიტეკონომიის“ გამოჩენილი წარმომადგენელია, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ეკონომიკური თეორიის ისტორიაში დღემდე გამოუცნობი ფიგურა, მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე, ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, დავით რიკარდო (1772-1823), რომლის დემოგრაფიული შეხედულებებიც გადმოცემულია მის ნაშრომში: „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები.“

მიუხედავად იმისა, რომ დ. რიკარდოს არა თუ უმაღლესი, არამედ სრული საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული, მისი ეკონომიკური თეორია წარმოადგენს „კლასიკური პოლიტეკონომიის“ უმაღლეს მიღწევას და ამასთანავე არის ეკონომიკური აზრის ამ მიმართულების დასასრულიც. დ. რიკარდოს შემდეგ პერიოდში უამრავი „რევოლუციური“ ეკონომიკური თეორიის გაჩენის მიუხედავად, მის მოძღვრებას, მათ შორის დემოგრაფიულ საკითხებსაც (სხვათა შორის, თავად დ. რიკარდო, ჩვიდმეტშვილიანი ოჯახის რიგით მესამე ბავშვი იყო, ხოლო თვითონ მას რვა შვილი ჰყავდა), ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ დაუკაგავთ თავიანთი თეორიული მნიშვნელობა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ა. სმიტის მსგავსად, დღემდე არც დ. რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებები გამხდარა ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საგანი (ანზორ სახვაძე, მ. გეჯუა 2009:) და დემოგრაფიულ ენციკლოპედიაშიც, მის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაციაა მოცემული. სწორედ ამიტომაც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ამ ორი დიდი ეკონომისტის დემოგრაფიული შეხედულებების წარმოჩენა და მათი ჩვენეული ანალიზი.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება ისტორიულ დემოგრაფიაში აპრობირებულ კვლევის აკადემიურ მეთოდებს, აქ ასევე გამოყენებულია სხვადასხვა წერილობითი ცნობების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის ხერხები, რაც საშუალებას გვაძლევს შეძლებისდაგვარად, სრულად და ობიექტურად წარმოვაჩნოთ ცნობილი ეკონომისტების ა. სმიტის და დ. რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებები.

შედეგები

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ა. სმიტისა და დ. რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებები გარკვეული დოზით ავსებს და აზუსტებს დემოგრაფულ მეცნიერებაში არსებულ ცოდნას კონკრეტულ მეცნიერთა დემოგრაფიულ შეხედულებათა შესახებ.

მსჯელობა

მაშ ასე, მივყვეთ ჯერ ა. სმიტის, ხოლო შემდეგ კი დ. რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებების გადმოცემასა და მათ ანალიზს.

„ადამიანს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავისი შრომით არსებობა, და

მისი ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მის სარჩენად. ეს კი არა, უმრავლეს შემთხვევაში, იგი საკმარისზე მეტიც უნდა იყოს რამდენადმე: წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის შენახვა, და ამ მუშების შთამომავლობა ამოწყდებოდა პირველი მოდგმის შემდეგ. კანტილიონი, ეტყობა ამ საფუძვლით, ფიქრობს, რომ უდაბლესი კატეგორიის მუშა ყოველთვის უნდა შოულობდეს იმაზე ორჯერ მეტს მაინც, რაც აუცილებელია მის შესანახად, რათა მას შეეძლოს ორი ბავშვის გამოზრდა: ამასთან იგულისხმება, რომ რადგან დედამ ბავშვებს უნდა მოუაროს, მისი შრომა, საკმარისი არ არის მის სარჩენად. მაგრამ, როგორც გამოანგარიშებულია, ახლად დაბადებულ ბავშვთა ნახევარი იხოცება, ვიდრე მოწიფულობას მიაღწევდეს. მაშასადამე, ამ ანგარიშის თანახმად, თითოეული უღარიბესი მუშა ცოლ-ქმარი უნდა ეცადოს გამოზარდოს ოთხი ბავშვი მაინც, რათა ორმა მიაღწიოს აღნიშნულ ასაკს“ (სმიტი, 1938: 79-80).

აქ ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ა. სმიტის, ასევე განსაკუთრებით, მის მიერ მოხმობილი და, როგორც ჩანს, მისთვისაც სრულიად მისაღები კანტილიონის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოსაზრებები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ყოველი მუშისთვის „ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მის სარჩენად,“ რადგანაც „წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის შენახვა, და ამ მუშების შთამომავლობა ამოწყდებოდა პირველი მოდგმის შემდეგ.“ სრულიად მართებულ, ამ ეკონომიკურ-დემოგრაფიულ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

მეორე მხრივ, კანტილიონის მოხმობილი მოსაზრებით კონკრეტდება, რომ „მუშა ყოველთვის უნდა შოულობდეს იმაზე ორჯერ მეტს მაინც, რაც აუცილებელია მის შესანახად, რათა მას შეეძლოს ორი ბავშვის გამოზრდა.“ როგორც ჩანს, იმ დროს ისე მაღალი იყო ბავშვთა მოკვდაობა, რომ საყოველთაოდ აღიარებულად მიაჩნდათ, რომ „ახლად დაბადებულ ბავშვთა ნახევარი იხოცება, ვიდრე მოწიფულობას მიაღწევდეს.“ აქედან კი, სრულიად ლოგიკურად ჩანს ის დასკვნა, რაც ავტორს ამგვარი მსჯელობიდან გამოაქვს: „მაშასადამე, ამ ანგარიშის თანახმად, თითოეული უღარიბესი მუშა ცოლ-ქმარი უნდა ეცადოს გამოზარდოს ოთხი ბავშვი მაინც, რათა ორმა მიაღწიოს აღნიშნულ ასაკს,“ ე.ი. თანამედროვე დემოგრაფიულ ენაზე ეს ნიშნავს, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ანუ ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჩენილი ბავშვების რიცხვი დაახლოებით ოთხი, ხოლო გამრავლების ნეტო კოეფიციენტი, ანუ ერთი ქალის მიერ გაჩენილი იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებმაც რეპროდუქციულ ასაკებამდე მიაღწიეს (მათი სქესის მხედველობაში მიღების გარეშე), ორის ტოლი უნდა ყოფილიყო, რაც, ჩვენი აზრით, იმდროისთვის არც თუ ძალიან მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

„ყოველი ქვეყნის აყვავების ყველაზე უცილობელი ნიშანი არის მისი მოსახლეობის რიცხვის ზრდა. დიდ ბრიტანეთში და მეტწილ სხვა ევროპულ ქვეყნებში ეს რიცხვი, როგორც ანგარიშობენ, ორკეცდება დაახლოებით 500

წელიწადში. ბრიტანეთის ჩრდილო-ამერიკის კოლონიებში კი, როგორც დამტკიცებულია, ეს გაორკეცება ხორციელდება 20 ან 25 წელიწადში. ამჟამად, ეს მატება გამოწვეულია უმთავრესად არა ახალ მცხოვრებთა მუდმივი იმიგრაციით, არამედ მოდგმის სწრაფი გამრავლებით. როგორც გადმოგვცემენ, იქ ადამიანები, რომელნიც სიბერეს აღწევენ, ხშირად ხედავენ 50-დან 100-მდე თავის შთამომავალს და ზოგჯერ მეტსაც. ისე კარგი გასამრჯელო ეძლევა შრომას, რომ ბავშვების დიდი რიცხვი არა თუ ტვირთი არაა მშობლებისათვის, არამედ პირიქით, წყაროა მათი სიმდიდრისა და კეთილდღეობისა... ის გარემოება, რომ ბავშვები ასეთ ღირებულებას წარმოადგენენ, მეტისმეტად წამხალისებელია ქორწინებისათვის. ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩრდილო ამერიკაში მუდამ გაისმის ჩივილი მუშახელის ნაკლებობის შესახებ. მოთხოვნა მუშების მიმართ, მათ შესანახად დანიშნული ფონდები, როგორც, ეტყობა, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რიცხვი მუშებისა, რომელთა შოვნა შესაძლებელი არის სამუშაოზე დასაყენებლად“ (სმიტი, 1938: 82).

ძნელია არ დავეთანხმოთ ა. სმიტს იმაში, რომ: „ყოველი ქვეყნის აყვავების ყველაზე უცილობელი ნიშანი არის მისი მოსახლეობის რიცხვის ზრდა,“ რაც, სამწუხაროდ ესოდენ სანატრელი გახდა მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოსთვის. ამასთან, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ადამ სმიტის იმ მოსაზრებას, რომ: „ბრიტანეთის ჩრდილო-ამერიკის კოლონიებში კი, როგორც დამტკიცებულია, ეს გაორკეცება ხორციელდება 20 ან 25 წელიწადში.“ ე.ი. გამოდის რომ, ჯერ კიდევ თ. რ. მალთუსის ცნობილ მოძღვრებამდე გაცილებით ადრე, ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია მოსახლეობის რიცხოვნობის ოცდახუთ წელიწადში გაორმაგება, რისთვისაც თავად თ. რ. მალთუსის მიერ გამეორებულ და, არა აღმოჩენილ (როგორც ზოგჯერ მას მიაწერენ ხოლმე), ამავე მოსაზრებას („მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია უდავოდ მივიჩნიოთ, რომ თუკი მოსახლეობის გამრავლებას წინ არაფერი ეღობება, მაშინ იგი ყოველ ოცდახუთ წელიწადში ორმაგდება და გეომეტრიული პროგრესიით იზრდება“) (მალთუსი, 2004: 47), დღემდე საკმაოდ ბევრი ოპონენტი ჰყავს.

რაც შეეხება ა. სმიტის მიერ მოყვანილ ცნობას ამერიკის მოსახლეობის გაორმაგების პერიოდის შესახებ, ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელმა მეცნიერმა ბენჟამინ ფრანკლინმა ჯერ კიდევ 1751 წელს გამოსცა ნაშრომი „დაკვირვებანი მოსახლეობის ზრდასა და ქვეყნების დასახლებულობაზე,“ რომელშიც ამერიკელი კოლონისტების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ის ამტკიცებდა, რომ იდეალურად ხელსაყრელ ბუნებრივ და საზოგადოებრივ პირობებში მოსახლეობას აქვს ტენდენცია, რომ 20-25 წელიწადში გაორმაგდეს. ფრანკლინის ეს ციფრები ა. სმიტს ძალიან მოეწონა და ორჯერ გამოიყენა თავის წიგნში.

რაც შეეხება „ბრიტანეთის ჩრდილო-ამერიკის კოლონიებში,“ ანუ ფაქტობრივად ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი მოსახლეობის გაორმაგების პერიოდს, საინტერესოა ა. სმიტის ის შენიშვნა, რომ: „ამჟამად ეს მატება გამოწვეულია უმთავრესად არა ახალ მცხოვრებთა მუდმივი

იმიგრაციით, არამედ მოდგმის სწრაფი გამრავლებით," რასაც ასევე საყვედურობენ ხოლმე თ. რ. მალთუსს, რომ თითქოს მან ყურადღება არ მიაქცია ამერიკის მოსახლეობის იმიგრაციით ზრდას. როგორც ა. სმიტის მოხმობილი მოსაზრებიდან ჩანს, თ. რ. მალთუსი მართალი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდასთან დაკავშირებით.

როგორც ეკონომისტი, ა. სმიტი ყურადღებას ამახვილებს მშრომელი ადამიანის შემოსავალზე და წერს, რომ: „ისე კარგი გასამრჯელო ეძლევა შრომას, რომ ბავშვების დიდი რიცხვი არა თუ ტვირთი არაა მშობლებისათვის, არამედ პირიქით, წყაროა მათი სიმდიდრისა და კეთილდღეობისა."

ბავშვების სარგებლიანობიდან გამომდინარე სწორია ა. სმიტის შემდგომი დასკვნაც: „ის გარემოება, რომ ბავშვები ასეთ ღირებულებას წარმოადგენენ, მეტისმეტად წამხალისებელია ქორწინებისათვის. ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩრდილო ამერიკაში მუდამ გაისმის ჩივილი მუშახელის ნაკლებობის შესახებ. მოთხოვნა მუშების მიმართ, მათ შესანახად დანიშნული ფონდები, როგორც, ეტყობა, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რიცხვი მუშებისა, რომელთა შოვნა შესაძლებელი არის სამუშაოზე დასაყენებლად." ე. ი. გარდა იმისა, რომ აქ, ერთი მხრივ, ხაზგასმულია ოჯახის მატერიალურ მდგომარეობასა და შობადობის დონეებს შორის პირდაპირი ურთიერთკავშირი, მეორე მხრივ, ყურადღებაა გამახვილებული ბავშვების ეკონომიკურ სარგებლიანობაზე და მათ როლზე ქორწინების სტიმულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარებიდან გამომდინარე, ანალოგიური მდგომარეობა თითქმის ყველა ქვეყნისთვის იყო დამასახიათებელი, მას მაინც ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ და ამიტომ ა. სმიტის ეს მოსაზრება დემოგრაფიული თვალსაზრისით იმ დროისთვის მეტად აქტუალურად და დროულად უნდა მივიჩნიოთ. ცალკე გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ამავე ციტატაში მოცემულ ერთ ცნობასაც. კერძოდ, ა. სმიტის მიერ დასახელებულ, დიდ ბრიტანეთსა და მეტწილ სხვა ევროპულ ქვეყნებში, მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგების 500 წლიან პერიოდს (თუმცა სხვა ადგილას ა. სმიტი ამ რიცხვის ნაცვლად ორმოცდაათს, ანუ ათჯერ უფრო ნაკლებ რიცხვს ასახელებს, რის გამოც ჩვენთვის გაუგებარი რჩება, თუ რომელია, ამ ორი განსხვავებული რიცხვიდან სწორი). იმ დროისათვის, იგი, საკმაოდ უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ, სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 0,13%-ით მატულობდა, რაც ამავე დროს იმაზეც მეტყველებს, რომ თავიანთი ეკონომიკური დაწინაურებულობის მიუხედავად, ეს ქვეყნები დემოგრაფიული განვითარების მაღალი ტემპით არ გამოირჩეოდნენ. ან არადა, ამ მონაცემით სრული საფუძველი გვეძლევა ეჭვი შევიტანოთ მათ ეკონომიკურ დაწინაურებულობაში. ასე რომ, ა. სმიტისდროინდელი დიდი ბრიტანეთისა და ევროპის უმეტესი ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობის გაორმაგების საკითხი შეიძლება ღიად დავტოვოთ. პირადად ჩვენ კი, მიგვაჩნია, რომ 500-ის ნაცვლად, ალბათ, უნდა იყოს 50 წელი, რაც უფრო ლოგიკური იქნება ყველა მისგან გამომდინარე დასკვნის ასახსნელად.

„ფასის ასეთი განსხვავება, რომელიც, როგორც ჩანს, საკმარისი არაა

იმისათვის, რომ ადამიანი აიძულოს გადასახლდეს ერთი სამრევლოდან მეორეში, აუცილებლად გამოიწვევდა უაღრესად მძიმე საქონელთა ისე გაძლიერებულ გადაზიდვას არა თუ ერთი სამრევლოდან მეორეში, არამედ სამეფოს ერთი კიდიდან - და, იქნებ, მსოფლიოს ერთი კიდიდანაც - მეორეში, რომ ფასები ერთნაირ დონეზე დადგებოდა. ყველა იმის მიუხედავად, რაც უთქვამთ ადამიანის სიმჩატისა და დაუდგრომლობის შესახებ, გამოცდილება ცხადად გვიმტკიცებს, რომ ადამიანის დაძვრა ადგილიდან ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რაიმე სხვაგვარი ტვირთისა. ამიტომ, თუ მშრომელ ღარიბებს სამეფოს იმ ნაწილებში, სადაც შრომის ფასი უდაბლეს დონეზე დგას, შეუძლიათ თავინთი ოჯახის შენახვა, მაშინ იქ, სადაც ეს ფასი უმაღლეს დონეზე არის, ისინი გაუჭირვებლად უნდა ცხოვრობდნენ“ (სმიტი, 1938: 87).

მოყვანილი ამონარიდიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ა. სმიტის მოსაზრება მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით. კერძოდ კი: „ყველა იმის მიუხედავად, რაც უთქვამთ ადამიანის სიმჩატისა და დაუდგრომლობის შესახებ, გამოცდილება ცხადად გვიმტკიცებს, რომ ადამიანის დაძვრა ადგილიდან ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რაიმე სხვაგვარი ტვირთისა,“ რაც მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის, რადგანაც ტრადიციულად ნაკლები მიგრაციული მოძრაობით გამორჩეული საქართველოს მოსახლეობა და, განსაკუთრებით კი ქართველები, ამ ბოლო დროს (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში) სულ უფრო დიდი რაოდენობით ტოვებენ თავინთ სამშობლოს და უკეთესი მერმისის დადგომამდე ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებს აფარებენ თავს, როგორც იაფი (იმათთვის) მუშახელი, რადგან აქ არსებული უმუშევრობისა და დაბალი ანაზღაურების გამო არ გააჩნიათ ოჯახის შენახვისთვის საჭირო სახსრები. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მართლაც ამუშავდა პრინციპი: „გაჭირვება მაჩვენეო გაქცევას გიჩვენებო.“ ასე რომ, ა. სმიტის მიერ, ადამიანთა ეკონომიკურ მდგომარეობასა და მიგრაციას შორის შემჩნეული ურთიერთკავშირი, სავსებით დასტურდება დღევანდელი საქართველოს მდგომარეობითაც.

ჩვენი აზრით, საანალიზო ციტატიდან შეიძლება გავაკეთოთ პრაქტიკული მნიშვნელობის შემდეგი დასკვნაც: თუკი სახელმწიფოს უნდა, რომ დაიბრუნოს მისი ყოფილი თანამოქალაქენი, მან ასევე უნდა გაითვალისწინოს ა. სმიტის მოსაზრება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მშრომელებს მისცეს ოჯახის შენახვისთვის საჭირო, თუნდაც მინიმალური, სახსრების მიღების შესაძლებლობა.

„სიღარიბე ყოველთვის შეუძლებელს არ ხდის ქორწინებას, თუმცა, უეჭველია, აბრკოლებს მას. იგი როგორც ეტყობა, ხელშემწყობიც კი არის გამრავლებისა. ნახევრად დამშეული ზემო-შოტლანდიელი დედაკაცი ხშირად 20 ბავშვზე მეტს შობს, მაშინ როდესაც კარგად ნაკვებ ნარნარა ქალბატონს ერთის შობვაც კი არ ძალუძს და ჩვეულებრივ იგი 2 თუ 3 ბავშვის შემდეგ გამოფიტული არის. უნაყოფობა, რომელიც ესოდენ ხშირია წარჩინებულ ბანოვანთა შორის, ძალიან იშვიათი მოვლენა არის დაბალი ფენის დედაკაცებში. ფუფუნება იქნებ, აღვივებს მშვენიერი სქესის წარმო-

მადგენლებში მისწრაფებას სიამოვნებისადმი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველთვის ასუსტებს და ხშირად სრულიადაც სპობს მოდგმის წარმოშობის უნარს.

მაგრამ სიღარიბე, თუმცა იგი არ აბრკოლებს მოდგმის გამრავლებას, ძალიან ხელშემშლელია ბავშვების გამოზრდისათვის. სათუთი მცენარე აღმოცენდება, მაგრამ ასეთ ცივ ნიადაგსა და მკაცრ ჰავაში მალე ჭკნება და კვდება. ... ცხოველთა ყოველი სახე მრავლდება, რასაკვირველია, მისი საკვების არსებული რაოდენობის შესაბამისად, და არც ერთ ცხოველთა სახეს არ შეუძლია ამ ფარგლებზე მეტად გამრავლება. მაგრამ ცივილიზებულ საზოგადოებაში საარსებო საშუალებების ნაკლებობამ მხოლოდ ხალხის დაბალ კლასებში შეიძლება დაუდოს ფარგალი ადამიანთა მოდგმის გამრავლებას, და ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ გზით, რომ აღნიშნული ნაკლებობის გამო გაწყდება დიდი ნაწილი ბავშვთა, რომელთაც, წარმოშობს ნაყოფიერი ქორწინება ხალხის დაბალ კლასებში. ... ხელფასი, რომელიც ეძლევა დღიურ მუშებს და ყოველგვარ მსახურებს, საშუალოდ ისეთი უნდა იყოს, რომ მათ შესაძლებლობას აძლევდეს განაგრძონ დღიურ მუშათა და მსახურთა მოდგმის იმ ზომით წარმოშობა, როგორსაც საჭიროებს საზოგადოების მზარდი, კლებადი თუ სტაციონარული მოთხოვნა. ... როგორც მე მგონია, ყველა დროისა და ყველა ხალხის გამოცდილება იმას გვეუბნება, რომ თავისუფალ ადამიანთა შრომა ბოლოს და ბოლოს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მონის შრომა. ... თუ შრომის უხვი სასყიდელი, ერთის მხრივ, შედეგია სიმდიდრის ზრდისა, იმავე დროს, მეორე მხრივ, იგი მოსახლეობის ზრდის მიზეზიც არის. მასში ჩივილი ნიშნავს იმას, რომ ვგოდებდეთ უდიდესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ შედეგსა და მიზეზზე.

იქნებ საჭირო იყოს აღვნიშნოთ, რომ მშრომელ ღარიბთა, ხალხის ამ უდიდესი ნაწილის, მდგომარეობა, როგორც ეტყობა, უაღრესად ბედნიერი და წარმატებულია უფრო მაშინ, როდესაც საზოგადოება პროგრესის პროცესშია, როდესაც იგი წინ მიდის სიმდიდრის შეძენის გზაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც საზოგადოებამ უკვე მოიპოვა ყველა შესაძლებელი სიმდიდრე. მშრომელთა მდგომარეობა მძიმეა საზოგადოების სტაციონარობის დროს და სავალალოა მისი დაცემის ხანაში. საზოგადოების პროგრესული მდგომარეობა მოასწავებს სინამდვილეში ყველა მისი კლასისათვის სიხარულსა და სავსებას. საზოგადოების უძრავი მდგომარეობა სიხარულს მოკლებული არის, ხოლო მისი რეგრესული მდგომარეობა გავსებულია ნაღველით“ (სმიტი, 1938: 91-94).

ა. სმიტის ნაშრომიდან მოხმობილი ეს ვრცელი ამონარადი, ჩვენ, აქ, მხოლოდ მისი წმინდა ეკონომიკურ-დემოგრაფიული ხასიათის გამო გვაქვს მოტანილი. მასში, ბევრი დემოგრაფიული საკითხის შესახებაა მსჯელობა. თუკი ამ საკითხებს თანამედროვე დემოგრაფიული ტერმინოლოგიით გადმოვცემთ, მაშინ გამოვა, რომ ისინი შეეხება: მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქორწინებას შორის უკუპროპორციულ ურთიერთკავშირს; სიღარიბესა და შობადობის მაღალ დონეებს შორის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას; შობადობის დონეთა ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით დიფერენციაციას; სიღარიბის გავლენას ბავშვთა მოკვდაობაზე და ა. შ.

მაგალითად, საინტერესოა, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან არც თუ მთლად მისაღებია, ა. სმიტის ვარაუდი იმის შესახებ, რომ: „უნაყოფობა, რომელიც ესოდენ ხშირია წარჩინებულ ბანოვანთა შორის, ძალიან იშვიათი მოვლენა არის დაბალი ფენის დედაკაცებში. ფუფუნება, იქნებ აღვივებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში მისწრაფებას სიამოვნებისადმი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველთვის ასუსტებს და ხშირად სრულიადაც სპობს მოდგმის წარმოშობის უნარს.“ ე. ი. ავტორი აქ ცდილობს მდიდარი ქალების დაბალი ნაყოფიერების დონე მათი ეკონომიკური მდგომარეობით, ანუ ფუფუნებაში ყოფნით ახსნას. სხვა სიტყვებით, ა. სმიტი ქალთა ნაყოფიერების დონეს მათ ეკონომიკურ ყოფას უკავშირებს და ამ ორ მოვლენას შორის უკუპროპორციულ დამოკიდებულებას ხედავს.

ნიშანდობლივია, ა. სმიტის მოსაზრება ბავშვთა მაღალ მოკვდაობასთან დაკავშირებითაც, რასაც იგი ასევე სიღარიბეს უკავშირებს, - „მაგრამ სიღარიბე, თუმცა იგი არ აბრკოლებს მოდგმის გამრავლებას, ძალიან ხელშემშლელია ბავშვების გამოზრდისათვის.“ უფრო მეტიც, ბავშვთა მოკვდაობის ზემოთ აღნიშნულ მაღალ დონეს, ა. სმიტი, კვლავ მშობლების ეკონომიკური ყოფით სხნის, - „მაგრამ ასეთ მოკვდაობას ადგილი აქვს ყველგან, უმთავრესად დაბიო ხალხის ბავშვებში, რომლებსაც ისეთი მოვლა არა აქვთ, როგორც უფრო შეძლებული მშობლების შვილებს.“

ბავშვთა მაღალი მოკვდაობის გამო კი დაბალი იყო „სასარგებლო,“ ანუ, ე. წ. „ეფექტური“ შობადობის (Урланис, 1977: 15) დონე.

შემდგომ მსჯელობაში ა. სმიტი კიდევ უფრო აკონკრეტებს ღარიბებისთვის გასაცემი ხელფასის ოდენობას და წერს: „ხელფასი, რომელიც ეძლევა დღიურ მუშებს და ყოველგვარ მსახურებს, საშუალოდ ისეთი უნდა იყოს, რომ მათ შესაძლებლობას აძლევდეს განაგრძონ დღიურ მუშათა და მსახურთა მოდგმის იმ ზომით წარმოშობა, როგორსაც საჭიროებს საზოგადოების მზარდი, კლებადი თუ სტაციონარული მოთხოვნა.“

თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს თავისი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მიზანი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს კიდეც მისი შესაბამისი მინიმალური ხელფასის ოდენობა. თუ ა. სმიტის ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს ან ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული თავისი დემოგრაფიული განვითარების მიზანი და ამიტომაც თავის ნებაზეა მიშვებული სახელმწიფოებრივი მართვის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო, ან არადა მიზანმიმართულად ხორციელდება მისი მოსახლეობის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები და, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ არსებული მინიმალური ხელფასისა და პენსიის ოდენობა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში გაძვირებული ცხოვრების პირობებს და თითქმის შეუძლებელს ხდის არათუ გამრავლებას, არამედ მისი მოსახლეობის სტაციონარულ დონეზე შენარჩუნებასაც კი.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ა. სმიტს გამოაქვს საკმაოდ მართებული დასკვნა: „...როგორც მე მგონია, ყველა დროისა და ყველა ხალხის გამოცდილება იმას გვეუბნება, რომ თავისუფალ ადამიანთა შრომა ბოლოს და ბოლოს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მონის შრომა.“ ხოლო იქვე ა. სმიტი

გვთავაზობს ძალიან საინტერესო სამწევრიან თანამიმდევრობასაც, რომელიც სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ: სიმდიდრის ზრდა შრომის მაღალი ანაზღაურება მოსახლეობის ზრდა. ამ სქემასთან დაკავშირებით ის წერს: „თუ შრომის უხვი სასყიდელი, ერთის მხრივ, შედეგია სიმდიდრის ზრდისა, იმავე დროს, მეორე მხრივ, იგი მოსახლეობის ზრდის მიზეზიც არის. მასში ჩივილი ნიშნავს იმას, რომ ვგოდებდეთ უდიდესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ შედეგსა და მიზეზზე.“ ასე რომ, ამ→ ციკლური ხასიათის ტრიადაში→ აღნიშნული თითოეული კომპონენტი მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია დანარჩენ ორთან და რომელიმე მათგანის ცვლილებაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვათა დინამიკაში მომხდარი ცვლილებებიც.

ანალიზებს რა მშრომელ ღარიბთა მდგომარეობასა და საზოგადოების ამა თუ იმ სახის განვითარებას შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ა. სმიტი ყველა იმ ძირითად ვარიანტს განიხილავს, რომელიც კი ამ ორ მოვლენას შორის შეიძლება არსებობდეს. ის წერს: „იქნებ საჭირო იყოს აღვნიშნოთ, რომ მშრომელ ღარიბთა, ხალხის ამ უდიდესი ნაწილის, მდგომარეობა, როგორც ეტყობა, უაღრესად ბედნიერი და წარმატებულია უფრო მაშინ, როდესაც საზოგადოება პროგრესის პროცესშია, როდესაც იგი წინ მიდის სიმდიდრის შეძენის გზაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც საზოგადოებამ უკვე მოიპოვა ყველა შესაძლებელი სიმდიდრე. მშრომელთა მდგომარეობა მძიმეა საზოგადოების სტაციონარობის დროს და სავალალოა მისი დაცემის ხანაში. საზოგადოების პროგრესული მდგომარეობა მოასწავებს სინამდვილეში ყველა მისი კლასისათვის სიხარულსა და სავსებას. საზოგადოების უძრავი მდგომარეობა სიხარულს მოკლებული არის, ხოლო მისი რეგრესული მდგომარეობა გავსებულია ნაღველით. “

ციტატის ეს დასკვნითი ნაწილი მეტად ნიშანდობლივია დღევანდელი საქართველოსთვის, რომელიც თავისი ფაქტობრივი ეკონომიკური მდგომარეობით, ხელისუფლების მიერ დეკლარირებული აყვავებულის ნაცვლად, რეალურად რეგრესულ ეტაპზე იმყოფება, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. ასეთ დროს, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენი დღე_ ვანდელი ხელისუფლება ა. სმიტის ზემოთ უკვე აღნიშნულ ტრიადის კომპონენტთა ურთიერთმიმართების საკითხსაც გაითვალისწინებდა და ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისიდან გამოყვანის ერთიან, კომპლექსურ, სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა პროგრამას შეიმუშავებდა და განახორციელებდა.

* * *

რაც შეხება დ. რიკარდოს დემოგრაფიულ შეხედულებებს, ადგილის სიმცირის გამო, წინამდებარე პუბლიკაციაში მხოლოდ იმ ეკონომიკურ-დემოგრაფიული საკითხების ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, რომლებიც დ. რიკარდოს ზემოთაღნიშნულ ნაშრომშია გადმოცემული.

კერძოდ კი, ისინი ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- მოცემულ ტერიტორიაზე ადამიანთა თავდაპირველი განსახლებისა და იქ მიწის რენტაზე მოსახლეობის რაოდენობისა და მისი მატების სიდიდის გავლენის შესახებ;

- მოსახლეობის რაოდენობის მარეგულირებელი ფონდის (ის ფონდი, რომელიც დანიშნულია მის ჩასაბმელად მოსაქმეობაში) და მისი ცვლილებით გამოწვეული დემოგრაფიული შედეგების შესახებ;

- ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული გამრავლების ციკლის (ნედლეულის შეფარდებითი ფასის დაცემა, კაპიტალის დაგროვება, შრომის მოთხოვნის გადიდება, ხელფასის აწევა, მოსახლეობის გაზრდა, ნედლეულის მოთხოვნის შემდგომი ზრდა, ხვნა- თესვის გაფართოება) შესახებ;

- მოსახლეობის მარტივი გამრავლების (როდესაც მომდევნო თაობა რაოდენობრივად წინა თაობის ტოლია) უზრუნველყოფისთვის მინიმალური („ბუნებრივი“) და ნომინალური ხელფასის („საბაზრო ფასის“) სიდიდესა და მათი - საზრდოს, საარსებო და კომფორტის საგნების ფასთან, ანუ ფაქტობრივად რეალურ ხელფასთან, მიმართების შესახებ;

- მოსახლეობის რაოდენობის ზრდასა და „შრომის საბაზრო ფასს,“ ანუ ფაქტობრივად ხელფასს შორის ურთიერთმიმართების შესახებ;

- კაპიტალის ზრდის კვალობაზე შრომის მოთხოვნისა და, შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შესახებ;

- შრომაზე მოთხოვნის ზრდისა და, მაშასადამე, ხელფასის გადიდების დემოგრაფიული შედეგების შესახებ;

- ხელფასის დონის ცვლილებაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორების („1. მუშების მიწოდება-მოთხოვნის გამო. 2. იმ პროდუქტების ფასის გამო, რომლებზედაც იხარჯება შრომის ხელფასი“) შესახებ;

- მოსახლეობის რაოდენობისა და არსებობის საშუალებების ზრდის ტემპებს (მოსახლეობის 25 წელიწადში გაორმაგების) შორის არსებული შეუსაბამობების (ჭარბმოსახლეობა, ან პირიქით, მოსახლეობის დეფიციტი) აღმოსაფხვრელად დიფერენცირებულად (ძველ და ახალ, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში), გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა შესახებ;

- ჭარბმოსახლეობის თავიდან ასაცილებლად გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ;

- ხელფასისა და ფასების ურთიერთმიმართების განმსაზღვრელი დემოგრაფიული ფაქტორების შესახებ;

- ღარიბთა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, „ღარიბთა შესახებ კანონები“-ს „ანტიდემოგრაფიული“ ეფექტისა (მოსახლეობისა და ნაადრევ და მოუფიქრებელ ქორწინებათა რიცხვის ზრდა) და მათი თანდათანობითი გაუქმების მოთხოვნის შესახებ;

- კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის („ემიგრაციის“) დამაბრკოლებელი, სამშობლოს დატოვებისადმი „ადამიანის ბუნებრივი უხალისობის“ ჩვეულების შესახებ;

- პურის ფასის ზრდის დემოგრაფიული მიზეზების შესახებ;

- გადიდებული ხელფასის ხარჯვის სტრუქტურის ევოლუციის დემოგრაფიული მიზეზების შესახებ;

- ხელფასის ზრდის განმსაზღვრელი დემოგრაფიული ფაქტორების შესახებ;

- კაპიტალის ზრდის ტემპებთან შედარებით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, ანუ ზოგადად დემოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული გამრავლების დაბალი ტემპების შესახებ;

- მოსახლეობის შემცირებაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაწესებული ხარკის გავლენის შესახებ;

- შრომის ფასი, როგორც საზოგადოების მოთხოვნილება მოსახლეობის შესახებ;

- მუშების რიცხვთან შედარებით მათ შესანახად საჭირო ფონდის უფრო სწრაფად ზრდისა და აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა დროულად გატარების აუცილებლობის შესახებ;

- ადამიანისა და ერის დემოგრაფიულ განვითარებებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ;

- მოსახლეობის რაოდენობასა და მათი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის შესაბამისი, ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შესახებ;

- მუშათა ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქორწინებათა რიცხვს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;

- პურის შემცვლელი, სხვა, შედარებით მაღალპროდუქტიული პროდუქციით (კარტოფილით) ჩანაცვლებისა და მოსახლეობის გამრავლების შესახებ;

- მოსახლეობასა (ერსა) და მის ცხოვრების დონეს (კეთილდღეობას) შორის არსებული ურთიერთმიმართების შესახებ;

- მდიდარ ქვეყნებშიც, ღარიბი ქვეყნების მსგავსად, მოსახლეობის ზრდაზე საზრდოს მოპოვების სიძნელის მოქმედების შესახებ;

- მანქანების გამოყენებით მუშათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების თაობაზე საკუთარი შეცდომის აღიარებისა და ჭარბი მოსახლეობის წარმოშობის მიზეზების შესახებ;

- მთლიანი პროდუქტის შემცირების კვალობაზე, შრომის მოთხოვნის დაცემისა და „ჭარბმოსახლეობის“ შედეგად, მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ;

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების (მანქანების გამოგონება და გამოყენება) წარმოებაში დანერგვისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის „ჭარბმოსახლეობა“-დ გადაქცევის შესახებ;

- მდიდართა შემოსავლების სხვადასხვა სტრუქტურით გამოყენების მოსალოდნელი დემოგრაფიული შედეგების შესახებ;

- ომის განსხვავებული სახეობებისა და მათი დემოგრაფიული შედეგების შესახებ;

- მანქანისა და შრომის მუდამ მეტოქეობაში ყოფნის შესახებ;

- დ. რიკარდოს შეფასებები თ. რ. მალთუსის მიერ ეკონომიკასა და დემოგრაფიაში შეტანილი წვლილის შესახებ;

- დ. რიკარდოს პოლემიკა თ. რ. მალთუსთან საზრდოს წარმოებასა და შრომაზე მოთხოვნას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ.

როგორც ვხედავთ, დ. რიკარდოს მიერ განხილული დემოგრაფიული

საკითხების სპექტრი საკმაოდ ფართოა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ერთნაირი სიღრმითა და დამაჯერებლობით არ გამოირჩევა. წინამდებარე ნაშრომის სახელწოდებიდან გამომდინარე, მის მოკრძალებულ მიზანს შეადგენს, რომ დემოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველებს მივაწოდოთ გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის, დ. რიკარდოს მოსაზრებებიც და, თუკი ვინმე, ჩვენს მიერ წარმოდგენილ დ. რიკარდოს დემოგრაფიულ მემკვიდრეობაში, თანამედროვეობისთვის რაიმე საინტერესოსა და მნიშვნელოვანს ამოიკითხავს, ავტორი თავის მოვალეობას შესრულებულად ჩათვლის, ხოლო თუ რომელიმე მათგანი პოლემიკას გამოიწვევს ესეც გარკვეულწილად მისი გამართლება იქნება, რადგანაც ხელს შეუწყობს ამ საკითხებზე მსჯელობასა და საბოლოო ჯამში წაადგება დღეისთვის ასე მწვავედ მდგარი დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესამუშავებლად საჭირო და საშურ თეორიულ დემოგრაფიულ მსჯელობას, რომლის დროსაც იბადება ჭეშმარიტება.

დასკვნა

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილ ეკონომისტებს, ადამ სმიტსა და დავით რიკარდოს ცალკე ნაშრომები არ მიუძღვნიათ დემოგრაფიული საკითხებისადმი, მათ ძირითად ეკონომიკურ შრომებში დემოგრაფიული პრობლემები მაინც სათანადოდაა განხილული, რაც დასტურდება კიდეც წინამდებარე პუბლიკაციით. მათ მიერ განხილული დემოგრაფიული საკითხები კი შეეხება იმდროისთვის მეტად აქტუალურ პრობლემებს, რომლებსაც დღემდე, მათ შორის არც საქართველოში არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა, და რომელთა ნაწილზეც ყურადღება გამახვილებულია წინამდებარე სტატიაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

maltusi, t.r. (2004). *gamotsdileba khalkhtmosakhleobis kanonis shesakheb.* t. I. rusulidan targmna a. sakhvadzem. tbilisi. (მალთუსი, თ. რ. (2004). *გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ.* ტ. I. რუსულიდან თარგმნა ა. სახვაძემ. თბილისი.)

maltusi, t. r. (2005). *gamocdileba khalkhtmosakhleobis kanonis shesakheb.* t. II. rusulidan targmna anzor sakhvadzem. tbilisi. (მალთუსი, თ. რ. (2005). *გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ.* ტ. II. რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვაძემ. თბილისი.)

sakhvadze, a. gejua, m. (2009). *davit rikardos demograpiuli shekhedulebebi.* Tbilisi: gamomtsemloba „universali.“ (სახვაძე, ა. გეჯუა, მ. (2009). *დავით რიკარდოს დემოგრაფიული შეხედულებები.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.)

sakhvadze, a. (2003). *demograpiuli etiudebi.* II. tbilisi. (სახვაძე, ა. (2003). *დემოგრაფიული ეტიუდები.* II. თბილისი.)

smiti, a. (1938). *gamokvleva khalkhta simdidris bunebisa da mizezebis shesakheb.* t. I. targmnili inglisuridan p. gogichaishvilis mier. tbilisi: “sakh. universitetis

gamomtsemloba". (სმიტი, ა. (1938). *გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ.* ტ. I. თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. თბილისი: „სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.“)

Urlanis, B.Ts. (1997). Dinamika urovnia rozhdaemosti v SSSR za godi savetskoi vlasti. *Brachnost, rozhdaemost, smertnost v Rosii i v SSSR.* Pod redaktsiei kand. ekon. Nauk. A. G. vishnevskovo. Moskva. (Урланис, Б.Ц. (1977). *Динамика уровня рождаемости в СССР за годы советской власти. Брачность, рождаемость, смертность в России и в СССР.* Под редакцией канд. экон. наук А. Г. Вишневского. М.)